# მომავალი

**— საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი —**

# № 88 პარასკევი, 11 დეკემბერი 1909 წ. № 88

გაზეთი „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარით 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.

## 1910 წლისთვის მ ი ი ღ ე ბ ა ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა 1910 წლისთვის

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

# „მომავალი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ღირება თფილისში და თფილის, გარეთ 7 მან., ნახევარ წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალი»-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», **Калистрату Конст. Цуладзе.**

# გლეხი-კაცის ისტორია

მიიღება ხელის მოწერა

„გლეხი-კაცის ისტორია“-ზე

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

**შ ი ნ ა ა რ ს ი წ ი გ ნ ი ს ა:**

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლოს განსაცდელი.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდან ეს წიგნი **ც ა ლ კ ე გ ა ს ა ს ყ ი დ ა თ ა რ გ ა მ ო ვ ა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ა თ ი შ ა უ რ ი ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (ЗАК. ПИСЬМО). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

თუ სად და ვისთან მიიღება ხელის მოწერა, ამის შესახებ იხილეთ ცალკე განცხადება, რომელიც «მომავალის» და „დროების“-ს 6 დეკემბრის ნომრებთან ერთად დაურიგდა ხელის მომწერთ.

**ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით:** Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

**წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე ვასილ გადილია.**

(20—6)

## თ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა ხ ა ზ ი ნ ო თ ე ა ტ რ ი

პეტერბურგის დრამატიული თეატრის ვ. ფ. კომისარჟევსკაიას **გ ა ს ტ რ ო ლ ე ბ ი,** 6-დან 14 დეკემბრამდის.

**ვერა ფეოდოროვნა კომისარჟევსკაიას** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

პარასკევს, 11 დეკემბერს
**„პეპელათა ბრძოლა“**
კომ. 4 მოქმ. ზუდერმ. თარგ. კუმანინისა.

შაბათს, 12 დეკემბერს
**„ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ნ ა დ ი მ ი“**
**ახალი** პიესა **პშიბიშევსკისა** 4 მოქმედება.

კვირას, 13 დეკემბერს
**„ოგნი ივანოვოი ნოჩი“**
დრ. 4 მოქმ. ზუდერმან. თარგ. საბლინისა

ორშაბათს, 14 დეკემბერს
**„ნ ო რ ა“**
დრამა 3 მოქმ. იბსენის, თარგ. განზენისა.

ალებული ბილეთები გამოდგება.
**დირექციის რწმუნებული პ. ა. რუდინი**
**დასაწყისი საამოს 8 ს.**

წარმოდგენა 21. **ქართული თეატრი** აბონიმენტი 9.

**შაბათს, 12 დეკემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ქართულ სცენაზე ახალი ორიგინალური პიესა ს. გ ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი ს ა

# ფყურგილი

დრამა 4 მოქმედებათ.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

**ამ პიესისათვის დახატულია ახალი დეკორაცია.**

ა დ გ ი ლ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-დე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 მ.-მდე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე; მოწაფეთათვის 50 კ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „სამეგრელოს მთავარი ლევან“, იხატება დეკორაციები, იკერება ტანისამოსი.

მორიგი რეჟისორი **კ. შათირიშვილი.** რეჟისორის თანშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

---

უბედური მშობლები: ლისა და ალექსანდრე, გულდამწვარი ძმები გიორგი და მიშა, რძალი სოფიო და ძმისწული საშურა, ბიძა და ბიცოლა პელაგია და ბეყან, ბიძაშვილები ისარ და კოწია საბახტარიშვილები, ბიძა და ნათლია სილოვან და ზინა ებრალიძენი, დეიდები ანნა ხოჭოლავასი და ფეოდოსია ტორაძისა გულ-მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაღიკულ გარდაცვალებას დაუვიწყარი ძვირფასის

## ილიუშა საბახტარიშვილისას

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 5 საათიდან. დასაფლავება დანიშნულია კვირას, 13 დეკემბერს, შუადღის სამ საათზე ქ. ფოთში.

---

13 დეკემბრიდან თფილისში გამოვა ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

# სხივი

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი) ლექსები, კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე, ბიბლიოგრაფიები, შესანიშნავ მწერალთა ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზიანი, ახოსპირელი, ბ. გელა, კ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ნ. ზომლეთელი, მ. ისამანი, შ. ირეთელი, ა. ლალიონი, ლელო, რ. ლეჟავა, ხუმელი, გ. მაღაქიაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაყდენიძე, ტ. რამიშვილი, გ. რუხაძე, ფ. რუშაველი, გ. ტუქსიშვილი და სხვანი.

**პირველ ნომრიდან დაიწყება ბეჭდვა ივ. გომართელის კრიტიკული წერილებისა ქართულ ლიტერატურაზე.**

ამასთანავე, იანვრიდან თვეში ერთხელ ჟურნალთან ერთათ გამოვა კრებული „სხივი“-ს, მოზრდილი წიგნი. წიგნის ფასი შემდეგ იქნება გამოცხადებული.

კვირეულ ჟურნალში პროვინციის განყოფილებაც იქნება.

წერილები და კორესპონდენციები ერთ გვერდზე და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. დაუბეჭდავ დიდრონ მოთხრობებს და ლექსებს რედაქცია ერთ თვეს შეინახავს, რომლის განმავლობაში უნდა მოიკითხონ ავტორებმა, მცირე წერილებს რედაქცია არ ინახავს.

ჟურნალი ღირება: ერთი წლით 5 მან. ნახევარი წლით 2 მ. 50 კ. ერთი თვით 50 კ. თითო ნომერი 10 კ. ვინც ამ თავიდან გამოიწერს და მთელი წლის ფულს შემოიტანს დეკემბრის ნომრებს უფასოთ მიიღებს.

პროვინციაში ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში წიგნის მაღაზია იმერეთში ის. კვიცარიძესთან, სამტრედიაში რკინის გზის შკაფში უ. კობალეიშვილთან, ბათუმში რკინის გზის შკაფში გ. მახარაძესთან, ჭიათურაში ვ. ხუროძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ე. ლომთათიძესთან და სხვ....

წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს დროებით: **Тифлисъ, типографія „Печатное дѣло“ Вельяминовская № 6, Полієвкту Антоновичу Каландадзе.**

---

ქართული ავლაბრის თეატრი წარმოდგენა № 2

**(დირექცია ამო-ხარაზიანი)**

**შაბათს, 12 დეკემბერს 1909** ავლაბრის ქართულ დრამატიულ ხელოვნების ამხანაგობის მიერ თამარა გოგოლაშვილისა და ს. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

# მეზობლები

პიესა 4 მოქ. ტ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებს დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.**

რეჟისორი **ს. სვიმონიძე** გამგე **თ. ნასიძე**

---

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

---

დ. ჭიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზალის ახლო.

---

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

---

კბილის ექიმი

## ს. ვ ა შ აყ მ ა ძ ე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

---

**წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა**

ამით აცხადებს,

რომ კვირას, 13 ამ თვეს, სამეურნეო ბანკში

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა

## საზოგადო კრების გაგრძელება

**განსახილველი საგნები:**

1. 1908 წლის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1910 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
4. მიღება საზოგადოების ახალი წევრებისა.

**კრება დაიწყება 11 საათზე.** 3—2

# პრესა

გაზეთ „ფონი“-ს მე-14 ნომერში მოთავსებულია ბ. ვინ—ის წერილი: „ჩვენი ავ-კარგი“. ბ. ვინ—ი ჩვენი კულტურული დაწესებულებების დაქვეითების მიზეზების გამოკვლევას შესდგომია. უძებნია რაც შეიძლება უფრო „ღრმა მიზეზები“ და კიდევაც აღმოუჩენია.

მაშ, მოვუსმინოთ:

**მარტო ჩვენი შური, სიხარბე და დაუდევრობაც არაა მიზეზი ჩვენი კულტურულ დაწესებულებების უძლურებისა, დაცემა-დაქვეითებისა, უთანხმოების გამწვავების. უფრო ღრმა მიზეზიც არის.**

რა არის ეს ღრმა მიზეზი?

**რუსეთის განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საზოგადოება პოლიტიკურ ჯგუფებათ, პარტიებათ დაჰყო. პროგრესიული პარტიები ძმობას, ერთობას და სხვადასხვა ერთა შორის სოლიდარობას ქადაგებდნენ. ეს-დეკი, ეს-ერი, ეს-ფერი, კადეტი. ქადაგობენ, მაგრამ სიტყვით** (ხაზი ჩვენია).

ესეც შენი „ღრმა მიზეზები“! ეს „ღრმა მიზეზები“ იმდენათ ღრმაა, რომ წიწილაც კი ვერ დაისველებს ფეხს. ნუ თუ მართლა სერიოზულათ ჰგონია, ბ. ვინ—ს, რომ ჩვენი კულტურული დაწესებულებების დაქვეითების მიზეზი და ისიც „ღრმა“, საზოგადოების პარტიებათ დაყოფაში იმალება. ჯერ ერთი, რომ საზოგადოების პარტიებათ დაყოფა მოხდა დიდი ხნით ადრე, სანამ განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყებდა. განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მხოლოდ უფრო ჩამოაყალიბა პარტიები. ბ. ვინ—ი სიტყვით კი გამოდის,—არ უოფილიყო განმათავისუფლებელი მოძრაობა, არ მოხდებოდა საზოგადოების პარტიებათ დაყოფა, მაშასადამე, არც ჩვენი კულტ. დაწესებულებები იქნებოდა დაცემულ-დაქვეითებული. ამ რიგათ, დამნაშავეთ გამოდის გან. მოძრაობა. ბ. ვინ—იც, ალბათ, ინანიებს ცოდვებს და ეს ხომ ეხლა ასე ხშირია. ესეც რომ არ იყოს, სადაური საბუთია საზოგადოების პარტიებათ დაყოფა კულტ. დაწესებულებების დაქვეითების ასახსნელათ! ასე რომ იყოს, მაშინ ხომ არც ერთ ქვეყანაში, სადაც კი პარტიები არსებობენ, და პარტიები კი ყველა ქვეყნებშია—არ იქნებოდა არც ერთი კულტ დაწესებულება?! ნამდვილათ კი, წინააღმდეგს ვხედავთ.

ვერც იმას დავუჯერებთ ბ. ვინ—ს, რომ „პროგრესიული პარტიები სხვადასხვა ერთა სოლიდარობას ქადაგებდნენ, მარა ქადაგებდნენ სიტყვითო. თუ პროგრესიული პარტიები მხოლოდ სიტყვით ქადაგებდნენ ერთა სოლიდარობას, საინტერესოა გაგვაგებინოს ბ. ვინ—მა რომელიღა პარტია ქადაგებდა საქმით? ალბათ, არა პროგრესიული ე. ი. რეაქციონური! მოდი და დაიჯერე ყველა ეს!

ბ. ვინ—მა ეს არ გვაკმარა და თუ მას დავუჯერებთ, ქუთაისში რაღაც საშინელება ხდება. აბა ყური დაუგდეთ.

**„ქართველს ჟამივით ეზარება ქართველი თუ ისინი პოლიტიკური რწმენით განსხვავდებიან, სომეხს სომეხი, ეს-დეკს ეს-ფერი, სომეხი სომეხს ჰკლავს, ქართველი ქართველს...** (ხაზი ჩვენია).

თუ მართლა ასეთი რამ ხდება ქუთაისში, მაშინ რაღა გასაკვირია, რომ ვინ—ს ცოტა ანგარიში აბნეოდეს.

ბ. ვინ—ი იმასაც იმეორებს, რომ კულტურულ დაწესებულებაში პოლიტიკას არავითარი ადგილი არ უნდა ქონდესო. ეს ლამაზი სიტყვები ძალიან ძველი სიმღერაა. დროა, დიდი ხანია დროა დავრწმუნდეთ, რომ თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაში პოლიტიკის გარეშე არ შეუძლია დარჩეს, ძალიანაც რომ გვინდოდეს და მოვინდომოთ კიდეც, არც ერთ კულტ. დაწესებულებას. მაშასადამე, საჭიროა სათანადო ანგარიში გავუწიოთ იმას, რაც არის და ხდება ცხოვრებაში და არა ვინმეს ოცნებას.

დასასრულ ორიოდე სიტყვა სოლიდარობის დამყარებაზე. ბ. ვინ—ი სწერს:

**„სხვადასხვა ეროვნებათა შორის სოლიდარობის მოტრფიალეთ, თავიანთ შორის ვერ დაუმყარებიათ სოლიდარობა და ისიც ისეთ საქმეში, როგორიც არის კულტურული დაწესებულება.**

საჭიროა იცოდეს ბ. ვინ—მა, რომ „სხვადასხვა ერთა შორის სოლიდარობაზე“ ტრფიალი, ერების, როგორც ერთეულის სოლიდარობაზე ტრფიალს კი არ შეიცავს, არამედ—ერთა განსაზღვრულ ნაწილების სოლიდარობას. თხა და მგლის ერთად ძოვაზე ტრფიალი, თუ გინდ ეს პატივცემული ცხოველნი შინაური ბოსლის მდგური იყოს, არ შეადგენს „სხვადასხვა „ერთა სოლიდარობაზე“ ტრფიალის შინაარს. ეს საჭიროა იცოდეს ყველამ, ვინც ერთა სოლიდარობაზე იწყებს წერას თუ ქადაგებას.

* *
*

წარსული წლიდან ალმანახის სახით, სხვადასხვა სახელწოდებით თფილისში გამოდის მოწაფეთა ჟურნალი ქართულ ენაზე. მდგომარე წლის პირველ ნოემბრამდის, როგორც იყო—ავათ თუ კარგათ—ყველა მოსწავლენი, განურჩევლათ მიმართულებისა ერთი ალმანახის გარშემო იყვენ შემოკრებილნი. პირველი ნოემბრიდან კი, მოწაფეთა შორის აზრთა სხვადასხვაობამ შესამჩნევათ იჩინა თავი, რასაც შედეგათ მოყვა ერთი ჯგუფის ცალკე გასვლა და თავისი საკუთარი „ალმანახის“ გამოცემა. მოწაფეთა

ამ ჯგუფმა „ალმანახის“ ორი ნომერი უკვე გამოსცა სახელწოდებით—„პირველი ტალღა“. სხვათა შორის, პირველი ნომრის სარედაქციო წერილში ვტყობილობთ, თუ რამ აიძულა ისინი ცალკე გასულიყვენ.

,, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ მთელის ენერგიით ვცდილობდით მათთან ერთათ მოქმედებას, ვერ მოვახერხეთ, რაშიაც დიდი დანაშაულობა მათვე მიუძღვით. ვიწრო ნაციონალიზმით გაჟღენთილნი მისი ბატონ პატრონები, უთვლდ დონისძიებას ხმარობდენ, რომ უკან დაეხიათ ის წერილები, სადაც სადი აზროვნება იხატებოდა“ და სხ...

«პირველი ტალღის» როგორც პირველ, ისე მეორე ნომერში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი მხატვრულ ნაწარმოებებს—მოთხრობებს და ლექსებს. პირველ ნომერში სხვათა შორის ჩამოწერილი იყო ორი თემა — ,,პედაგოგიური აზრები ილია ჭავჭავაძის თხუზულებებში“ და ,,გლეხთა სოციალური მდგომარეობა ეგ. ნინოშვილის მოთხრობებში“ ამ თემებზე რედაქცია მოწაფეებს წერილს სთხოვდა და აი, მეორე ნომერში მართლაც იბეჭდება წერილი გლეხთა სოციალური მდგომარეობის შესახებ ეგ. ნინოშვილის მოთხრობების მიხედვით. ჟურნალში სხვადასხვა საკითხებს ეხებიან, რომელიც სკოლასთან არის დაკავშირებული. ამ მხრით ჟურნალს წინ-სვლა ეტყობა. მაგ., მეორე ნომერში მეთაური წერილი ეხება საერთოთ დღევანდელ მდგომარეობას და სწავლა-აღზრდის საქმეს იმპერიაში, პრესაში—მოსწავლეთა თვითმკვლელობას, ცალკე წერილები: ზნეობრივი აღზრდის საქმეს სკოლებში, სახალხო განათლების მინისტრის უკანასკნელ ცირკულიარს და სხ. არის აგრეთვე ცალკე განყოფილება—„სკოლის ქრონიკა“, სადაც ჩამოთვლილია რაც საინტერესო ამბები მომხდარა რუსეთის სკოლებში თუ ჩვენში. არის ერთ-ერთ სასწავლებლიდან კორრესპონდენციაც. საზოგადოთ, ყოველივე საკითხი, რის გარკვევაც მიზნათ დაუსახავთ მოსწავლეებს მჭიდროთ დაკავშირებულია სკოლის საკითხთან. ამ მხრით ჟურნალი სათანადო შთაბეჭდილებას ახდენს. ყველა წერილები მოწაფეების მიერ არის დაწერილი.

ყველა დაგვეთანხმება, რომ მოწაფეთა ასეთი მეცადინეობა მოსაწონია თუ, რასაკვირველია, ეს შრომა (ჟურნალის გამოცემა) ისე იქნება მოწყობილი, რომ ის ხელს არ შეუშლის მოწაფეებს პირდაპირ საქმეზე—სკოლაში მეცადინეობაზე.

---

# სახელმწიფო დუმა

(სააგენტოს დეპეშებიდან.)

9 დეკემბერი

9 დეკემბერს სახელმწიფო დუმის სხდომის გახსნისას თავმჯდომარე ხომიაკოვმა წაიკითხა ხელმწიფე იმპერატორის საპასუხო დეპეშა. დეპეშის წაკითხვას ურას ძახილით შეხვდენ. შემდეგ წაიკითხეს სარატოვის უნივერსიტეტის რექტორის დეპეშა სარატოვში უნივერსიტეტის გახსნის დღესასწაულის გამო და დუმა შეუდგა ადგილობრივ სასამართლოს რეფ. კანონ-პროექტის განხილვის გაგრძელებას. ილაპარაკეს ლიუცმა, ბარონ ჩერკასოვმა, როდიჩევმა, ლვოვმა, ზახარიევმა, შუბინსკიმ და სხვებმა ჩერკასოვი და ლიუცი სასამართლოს კომისიას მხარს უჭერენ და მოითხოვენ სიეზდების თავმჯდომარეების დანიშვნას. როდიჩევი, ლვოვი და ზახარიევი მომხრე არიან თავმჯდომარეების არჩევის. შუბინსკი მხარს უჭერს სასამართლოს კომისიის გადაწყვეტილებას. დუმა ღებულობს 17 მუხლს ზახარიევის და გუჩკოვის შესწორებით. წინადადება შეაქვთ ამ კანონ-პროექტის შესახებ კამათის გაგრძელება იანვრისთვის გადაიდოს.

იხილავენ კანონ-პროექტს ქალაქის, დაბების და პოსადების უძრავ ქონებაზე გადასახადის დაწესების შესახებ ლაპარაკობს საზონოვიჩი. ის აღნიშნავს, რომ რუსეთის იმპერიაში გადასახადები ქალაქის, დაბების და პოსადების უძრავ ქონებიდან იკრიფება და პოლონეთში კი მარტო ქალაქების. და ეს ფორმალური მოსაზრება ხელს უშლის გავრცელებულ იქნეს ეს კანონ-პროექტი ამ გუბერნიებზე. ფინანსთა მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი ეთანხმება საზონოვიჩს. დუმა ღებულობს კანონ-პროექტის პირველ მუხლს შიპკინის შესწორებით. შემდეგ ღებულობენ 1—6 მუხლამდე. უკამათოთ ღებულობენ მეშვიდე მუხლს. სხდომა სწყდება. სხდომის განახლებისას ლერხე აცნობს დუმას ორ განცხადებას. ზარალის შესახებ, რომელიც ნახა ხაზინამ ვლადიკავკავის რკინის გზის გამოსყიდვის გადადებით ამ გზის აქციების გაყიდვით. მომხსენებელმა თავის სიტყვაში აღნიშნა ის მიზეზები, რომლების წყალობითაც მთავრობამ შეუძლებლათ სცნო ჯერ-ჯერობით გზის გამოსყიდვა, რადგან ამით ის დიდ ზარალს ნახავდა.

მთავრობის განმარტების მოსმენის შემდეგ განცხადებაზე პირველმა ხელის მომწერმა განაცხადა, რომ მთავრობის განმარტება დამაკმაყოფილებულია და საჭირო აღარ არის ამ კითხვის ფინანსთა მინისტრისადმი წაყენება. ნეკრასოვი მხარს უჭერს პირველ კითხვას, რადგან მთავრობის განმარტება ნათელს ვერ ფენს და კითხვა ისევ გამოურკვეველია. მით უმეტეს, დამაკმაყოფილებელი ვერაა მთავრობის განმარტება—ორატორის სიტყვით—რადგან ის პირველ კითხვაზე უფრო რთული და მნიშვნელოვანია.

თავადი ტენიშევი აცნობს დუმას 52 წევრის განცხადებას კოტელნიჩესკის და იარინსკის მაზრების პოლიციის უკანონო მოქმედების შესახებ. განცხადებაში აღნიშნულია ის უწესოებანი, რომლებიც ჩაიდინეს პოლიციელებმა ამ მაზრებში. კრეფდენ ათი წლის გადასახადებს ერთათ და ძალადობას ხმარობდენ, სცემდენ და აწიოკებდენ ხალხს. შეკითხვების კომისიამ მიიღო ეს შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. მღვდელი პოპოვი მეორე მხარს უჭერს ამ შეკითხვას და თან დასძენს, რომ ამგვარი უწესოებანი პოლიციის მხრით 1908 წლის დეკემბერში ვიატკის გუბერნიაშიაც მოხდაო.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 დეკემბერი.

## რუსეთი.

**პეტერბურგი.** შუა ღამე ხანს პეტერბურგის მხარეზე ასტრახანის ქუჩის საცხოვრებელ ბინაზე ყუმბარა გასკდა. მოკლულ იქნა 3 კაცი. ერთი დააპატიმრეს ხოლო დანარჩენები მიიმალენ. აფეთქებისაგან დაინგრა ორი სართული.—როგორც შემდეგ გამოირკვა, აფეთქება მომხდარა მოიჯარადრის სახლში ვიბორგის მხარეზე, სამპსონიევის ხიდისმახლობლათ, რომელიც გადის ასტრახანის და სარატოვის ქუჩებზე. აფეთქების დროს მოკლულ იქნა „ოხრანი“ განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი კარპოვი, რომელიც გაება დაჭერილ ახალგაზრდა კაცის მიერ თავის ბინაზე გაწყობილ მახეში. აფეთქების დროს კიდევ დაიჭრა „ოხრანი“ განყოფილების აგენტი. დაპატიმრებული ახალგაზრდა კაცი ყოფილა გაწერილი ვოსკრესენსკის გვარით. მას თან აღმოაჩნდა შვიდი პასპორტი.

**პეტერბურგი.** ვლადიმირის გუბერნიისა და მის საზღვრებში მოსკოვ-ნიჟეგოროდისა და მურომის რკინის გზებზე საგანგებო დაცვის წესები გაგრძელებულ იქნა 1910 წ. 4 სექტემბრამდე ან და განსაკუთრებულ წესების შესახებ ახალი კანონის გამოცემამდე. დონს-როსტოვის საგრადონაჩალნიკო და ტაგანროგის ოლქში გამოცხადებულ იქნა საგანგებო დაცვის წესები 1910 წ. 4 სექტეებ-

**პეტერბურგი.** განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთ სასტიკი თვალ-ყური ადევნონ იმ პირთა მოწმობებს, რომლებიც ეგზამენს იჭერენ კბილის ექიმის ხარისხზე. ამასთანავე წინადადება ეძლევა უნივერსიტეტებს მომავალში არ მისცენ კბილის ექიმის დიპლომი მათ, უკეთუ წინასწარ არ იქნება განხილული ყველა დოკუმენტები.

**ასტრახანი.** შავი ჭირით ავათ არავინ გამხდარა. სულ ავათ არის 30 კაცი.

**ურალსკი.** 4 და 5 დეკემბერს იმ უბანში, სადაც შავი ჭირი გაჩნდა, მოკვდა 30 კაცი, კიდევ ავათ გახდა—18.

**ეკატერინოსლავი.** ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავათ გახდა 15, მოკვდა 8.

## საზღვარ-გარეთ

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ გაათავა წაკითხვა იმ კანონ-პროექტისა, რომლითაც მთავრობას ევალება მოაწესრიგოს ვაჭრობის საქმეთა დამოკიდებულება ბალკანეთის სახელმწიფოებთან. კანონ-პროექტი გადასცეს კომისიას. შემდეგ განხილულ იქნა კიდევ რამდენიმე კანონ-პროექტი.

**ბუხარესტი.** ექიმების შემოწმებით, ბრატიანო დაჭრილია ორი ტყვიით ზურგში; ჭრილობები არ არის საშიში. 8 დეკემბრის საღამოს ბიულეტენის თანახმათ, ბრატიანო უკეთ არის.

**პარიზი.** იმ პროპაგანდასთან ერთათ, რომელსაც ეწევა არჩევნების წინ კათოლიკეების პარტია მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების სასარგებლოთ, მოხდა მიტინგი, რომელიც მოწვეულ იქნა კათოლიკების ახალგაზრდათა ასოციაციის მიერ. კრებას დაესწრო ათსს ხუთასი კაცი, მათ შორის პარლამენტის გამოჩენილი წევრები და სამღვდელოების პირნი. კენჭი უყარეს რეზოლიუციას, რომელიც მოითხოვს ღამით მუშაობის მოსპობას საბულკეებში.

**ვენა.** ფრიდიუნგის პროცესი დასრულდა. ბრალდებულნი გაამართლეს. ფრიდიუნგმა განაცხადა სასამართლოში, რომ რადგანაც ოფიციალურათ დამტკიცებულია სლავიანთა კავშირის პრეზიდენტის მარკოვიჩის ბერლინში ყოფნა იმ კრიტიკულ მომენტში, როცა მას აწერდენ სამოქმედო როლს ბელგრადში, ამიტომ იმ დოკუმენტებს, რომელიც მარკოვიჩს ეხება, უარს ყოფს. ბრალდებულმა უარი განაცხადა ბრალდებაზე.

**სეული.** კორეის პირველ მინისტრს, როცა ის ეტლით მდიოდა, თავს დაესხა 20 წლის კორეელი და ხანჯლით მუცელში სასიკვდილოთ დასჭრა. ის საავათმყოფოში წაიყვანეს. ეტლის გამწევიც მძიმეთ დაიჭრა და ჩქარა გარდაიცვალა. ბოროტ-გამზრახველი დააპატიმრეს.

# წერილები სპარსეთიდან

17

### ქალაქი თეირანი

10 ოქტომბერს [illegible] ქალაქის ნაწილი და შევედი რედაქციაში. დღევანდელ გაზეთ „[illegible]“ დაბეჭდილია: „30 წლის წინათ საერთაშორისო ხელშეკრულობის ძალით აკრძალულია მოსამსახურე ბატონის კუთვნილების სხვა პირებზე გაყიდვა“. ეს კანონი ქაღალდზე დარჩა დაწერილი, ცხოვრებაში ამისთვის ბრძოლა არ ყოფილა, თვით მონას, პირუტყვათ ქცეულს თავის უფლებების დასაცველათ ხმა არ ამოუღია და აბა, გიჟი ვინ იქნებოდა, თავს შეიწუხებდა.

ეს კანონი დაარღვია დროებით მთავრობის მიერ არჩეულმა საგარეო მინისტრმა და ამ დღეებში გაყიდა თავის მოსამსახურე უპატრონო ქალი. როცა ეს უსაყვედურა გაზეთმა, მინისტრმა მოიბოდიშა: მე არ გამიყიდია, ის ჩემი მეუღლის საკუთრება იყოვო!

11 ოქტომბერს, საღამოს, ვახშმათ მიგვიწვია ერთმა აქაურმა მდიდარმა, რომელიც პოლიტიკას აწარმოებს. აქ იყვენ ყველა ჯურის „მოღვაწენი“. სხვათა შორის ც. კ „იშთმაი ამუის“ წევრი სა—კოვიც, რომელზედაც ბოროტი ენები ამბობენ—საზოგადო ფულები შეჭამაო!..

გაიმართა პოლიტიკაზე მსჯელობა და ყველა ერთავად აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო პირები არ ჰყავს სპარსეთს და პოლიტიკური ხელმძღვანელნი ევროპიდან უნდა გამოვიწეროთო!

ინგლისელს ვერ ვენდობით, თავის პოლიტიკას აწარმოებს აქო—ამბობს ერთი. გერმანია უარესიაო—უმატებს მეორე. ჯერი შვეცია-შვეიცარიაზე მიდგა, მარა მესამე ამბობს: სხვა ქვეყნის პირნი ენის უცოდინარობით ინტრიგანების მორევში გაებმებიან, დავთარი დაებნევა და რეაქცია საგიტაციოთ გამოიყენებს—ქვეყანას სხვას ჩაუგდეს ხელშიო! მეოთხე სომხებს „უსაყვედურებს“: ეფრემმა ქალაქი ხელში ჩაიგდო, ალაგი რომ გინდოდეს, თუ „დაშნაკცუტუნების“ კომიტეტმა არ გადასწყვიტა ვერც ერთ საპოლიციო-საქციზო დაწესებულებაში ვერ შეხვალთ... ფული მაგათ ხელშია, ვაჭრობა და მონოპოლია, ქალები არ გაუშვეს და სხ. ერთი შახი ჩამოვაგდეთ, ახლა ესენი გაგვიხდა მამედ-ალი შახიო!

ჩვენთვის მიუცილებლათ საჭიროა რამდენიმე ქართველი სახელმწიფო მოღვაწის ყოლაო—წარმოსთქვა ერთმა და სა—კოვიც დაეთანხმა. ჩვენ თითონ სპარსელ რევოლიუციონერებს არ გვაქვს იმდენი გავლენა და სიყვარული მოპოვ-

---

# დეპუტატ ჩხეიძის სიტყვა პიროვნების ხელუხლებლობის შესახებ.

(სტენოგ. ანგარიშიდან)

ბ. ბ. სახელმწიფო დუმის წევრებო! ბატონმა როდიჩევმა კარგათ ილაპარაკა (მარჯვნით სიცილი), მაგრამ მე ვეცდები გამოვარკვიო რა მნიშვნელობა აქვს მესამე დუმაში ასეთ ლაპარაკს. დეპუტატმა როდიჩევმა კითხვა დააყენა: საით წავა მესამე სახელმწიფო დუმა, და აი, სწორეთ მეც ამ კითხვაზე მინდა გავსცე პასუხი.

**თავმჯდომარე.** არა, უკაცრავათ, ამაზე კი არა (არაფერი არ ისმის)

**ჩხეიძე.** ორი წლის მუშაობის შემდეგ მხოლოდ ახლა სწყვეტს მესამე დუმა იმ საკითხს, თუ რას წარმოადგენს რუსეთის მოქალაქე, როგორი უნდა იყოს მისი უფლებანი. მე არა ერთხელ წამიკითხავს და გამიგონია, რომ ცენტრი, დუმის პასუხისმგებელი უმრავლესობა ამ კანონ-პროექტს დუმაში არ შეიტანს იმ სახით, როგორც ის შემუშავებულია გოლოლობოვ-ზამისლოვსკისაგან. მე ამას ყოველთვის სკეპტიკურათ ვუყურებდი, ვფიქრობდი, რა გულუბრყვილონი უნდა იყონ ისინი, ვინც ამ ხმებს იჯერებს, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ბატონებო, რომ დუმის უმრავლესობას არ შეეძლო პიროვნების ხელუხლებლობის კანონ-პროექტისათვის სხვა შინაარსი და აზრი მიეცა. ეს კიდევ ცოტაა, მესამე დუმას, მისი უმრავლესობის სახით არ შეეძლო უკეთესი დრო ეშოვნა ამ კანონ-პროექტის დუმაში შესატანათ. თქვენ კარგათ იცით, ბატონებო, რომ პიროვნების ხელუხლებლობის კანონ-პროექტს დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მიუხედავათ რუსეთის კულტურულ ქვეყნებთან მეზობლობისა, მიუხედავათ სახელმწიფოს ათასი წლის არსებობისა, პიროვნების ხელუხლებლობის საკითხი ჩვენში მხოლოდ იმ ეპოქაში იქნა წამოყენებული, რომელსაც მემარჯვენეთა ენაზე განსაცდელის ხანა ეწოდება, ჩვენებურათ კი განმათავისუფლებელი მოძრაობის, ანუ რუსეთის დიდი რევოლიუციის ხანა ეწოდება (მარჯვნიდან: ბრავო, ბრავო! მართალია!) პიროვნების ხელუხლებლობის საკითხი ერთი საჭირ-ბოროტო, კარდინალური კითხვათაგანი იყო, რომლისთვისაც რუსეთის ხალხი თავგანწირულათ იბრძოდა. 100-ზე მეტი სხვადასხვა ეროვნების ხალხი, რომელნიც რუსეთის სახელმწიფოში შედიან, ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მონობის ბორკილები დაემსხვრია, რუსეთის მოქალაქისათვის უფლება მოეპოებია და რუსეთის საზოგადოებისათვის პიროვნების თავისუფლება. მაგრამ ეს გმირული ბრძოლა საკმარისი არ შეიქნა, ხალხმა უკან დაიხია და თავისთვის სთქვა: „მეორეთ გალაშქრებამდის“ (მარცხნით ტაშის ცემა) და აი, ბატონებო, როდესაც ამ კითხვამ დამარცხება განიცადა ქუჩაზე, ის ამ ქუჩიდან, ბარიკადებიდან, მასსიდან გადმოტანილ იქნა სახელმწიფო დუმაში;—ცხადი იყო, ბატონებო, რომ საქმე წაგებული იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა, სახელმწიფო დუმა მაინც შეუდგა ამ კითხვის შემუშავებას, მაგრამ საკმარისი შეიქნა ამ საკითხის შესახებ პირველი ნაბიჯის გადადგმა და პირველი დუმაც გარეკილ იქნა. მეორე დუმასაც იგივე ბედი ეწია იმავე საკითხის გამო. და აი, იგივე საკითხი, რომლის გადაჭრისათვის საკმარისი არ შეიქნა რუსეთის ხალხის თავგანწირული ბრძოლა, რომლის გადაჭ[რა] ვერ შესძლო პირველმა ორმა დუმამ, ამ საკითხს საბოლოოთ გადაწყვეტას უპირებს მესამე დუმა. რა მოხდა, ბატონებო? ცხადია, უმრავლესობის ლიდერებმა იგრძნეს, რომ ახლა მოხერხებული მომენტი დადგა ამისათვის. მართლაც, უფრო მოხერხებული მომენტის მოძებნა არც კი შეიძლებოდა. რაში მდგომარეობს ეს მოხერხებულობა? ეს მოხერხებულობა მდგომარეობს ქვეყნის „დამშვიდებაში“, რომელიც არა ერთხელ გვამცნო მთავრობამ ამ ტრიბუნიდან. ეს ვაჟბატონები (მარჯვნით ანიშნებს) ასეთი მდგომარეობის თანახმანი არ არიან. დეპუტატმა ნოვიცკიმ განაცხადა, რომ რუსეთს არავითარი დამშვიდება არ ეტყობა, მე კი ვფიქრობ, რომ ბბ. მემარჯვენეები ასეთ დებულებას მაშინ დაეთანხმებიან, როდესაც არა თუ მარტო ისინი იქნებიან ბ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან, არამედ მაშინაც, როდესაც ბ. მინისტრთა თავმჯდომარე მათთან იქნება. ჩემი აზრით, თუ ეს ახლა ასე არ არის, მალე მოხდება მანამდე კი ფაქტი აშკარაა: ქვეყნის დამშვიდება უკვე აღნიშნულია და ეს მომენტი კი ძალიან მოხერხებულია იმისათვის, რომ ქვეყანას ემცნოს, რას უნდა წარმოადგენდეს რუსეთის მოქალაქე.

**ნოვიცკი 2.** (ადგილიდან) რომელიც თქვენ ძალიან ნაკლებ გეგვანებათ (სიცილი).

**ჩხეიძე.** თუ თქვენ საკუთარ თავს რუსეთის მოქალაქეთ სთვლით, მე სრულებითაც არა მაქვს სურვილი ასეთ მოქალაქეს დავემსგავსო (სიცილი, მარცხნით ტაშის ცემა და ძახილი: ბრავო). ჩემმა ამხანაგმა, გეგეჭკორმა, როდესაც ამ კითხვის შესახებ ლაპარაკობდა ამას წინათ, სთქვა, რომ პიროვნების ხელუხლებლობა მთელი საზოგადოებრივი პოლიტიკური კულტურააო, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს პიროვნების უფლებაზე ფაქტიურათ შეეძლოს განავითაროს ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი ძალები. ჩვენ ვიცით, ბატონებო, რომ თავისუფლების დღეებში რუსეთის ხალხმა მოითხოვა ელემენტარული უფლებანი თავისი ფიზიკური არსებობისათვის, მასსამ მოითხოვა ეკონომიური უფლებების განსავითარებლათ და რუსეთის მოქალაქის პიროვნების ფიზიკურათ აღსაზრდელათ. ეს მაშინ ერთი ძირითად მოთხოვნილებათაგანი იყო. აი, ბატონებო, „მშვიდობიანობაც“ ჩამოვარდა, მაგრამ რა მისცა დამშვიდებულმა სახელმწიფომ რუსეთის მოქალაქის პიროვნებას? მთელ მშრომელ კლასს ერთათ და ყოველ მის წევრს კერძოთ სრული და წაურთმეველი უფლება აქვს განვითარდეს ფიზიკურათ ხრონიკულ უჭმელობის და შიმშილობის სამეფოში სახაზინო არაყი, საყოველთაო ლოთობა—აი საფუძველი რუსეთის სახელმწიფოს ძალების და რუსეთის მოქალაქის ფიზიკური განვითარებისა: აი, რას უპასუხებს დამშვიდებული სახელმწიფო, ბატონებო, თითოეულ ჩვენთაგანს. ჩვენ ვიცით, ბატონებო, რომ თავისუფლების დღეებში ხალხმა განიცადა სულიერი შიმშილი, მან იგრძნო, რომ ხალხის მასსასა და კულტურულ კეთილდღეობას შორის მთელი უფსკრულია გათხრილი. ხალხმა მოითხოვა ამ უფსკრულის ამოვსება, რომ თანაზიარი გამხდარიყო როგორც თავის ხალხის, აგრეთვე ყველა უცხო ტომის სულიერი კულტურისა. მერე რა ჰქნა, რითი გასცა პასუხი დამამშვიდებელმა მთავრობამ ამ სახალხო მოთხოვნილებას? სკოლების, წიგნთ-საცავების და სამკითხველოების დახურვით, სასწავლებლების პოლიციის მზრუნველობაში გადაცემით, უნივერსიტეტების ავტონომიის გაუქმებით და თავისუფალი სიტყვის მოსპობით—აი, ბატონებო, ყველა ის გარანტიები, რომელიც დამშვიდებულ სახელმწიფოს შეუძლია რუსეთის მოქალაქეს მიანიჭოს. საზოგადოებათა და საზოგადოებრივ ელემენტების შეკავშირება, მათი სოლიდარობა—აი, რას მოითხოვდა თავისუფლების დღეებში რუსეთის ხალხი იმისათვის, რომ ნიადაგი შექმნა პიროვნების ზნეობრივი განვითარებისათვის. სრული დეკულტურიზაცია, სრული დეზორგანიზაცია, სრული დაქსაქსვა საზოგადოებისა—აი, ნამდვილათ რას იძლევა სახელმწიფო, როდესაც ის დამშვიდებულია, და აი, როგორ პირობებს იძლევა პიროვნების ზნეობრივათ განვითარებისათვის. ბატონებო, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთში 100-ზე მეტი ეროვნება, რომელნიც კულტურის სხვა და სხვა საფეხურებზე დგანან; რუსეთი რამდენიმე საუკუნოების განმავლობაში აერთებდა თავის საზღვრებში ამ სხვა და სხვა ეროვნებათ, მაგრამ ეს შეერთება, ეს კავშირი იყო მხოლოდ მექანიკური, აქ ნიადაგი არ ქონია ნამდვილ შეერთების და აი, თავისუფლების დღეებში რუსეთის ხალხმა და ყველა ხალხმა, რომელნიც რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან, თავი შეერთებულათ იგრძნეს და ისინი მართლაც შეერთდენ თანასწორობისა და ძმობის ნიადაგზე (მარჯვნიდან ხმა: სახელმწიფოს დასაქცევათ). რას ვხედავთ, ბატონებო, დღეს ჩვენ ამ საერთო შეერთების სურვილის საპასუხოთ? შოვინიზმს კულტს. ახლა გარანტიები აქვს მინიჭებული მარტო მათ, ვისაც

...ბული ხალხში, რამდენიც ქართველებს; ეს აიხსნება იმით, რომ ისინი თავდავიწყებული მებრძოლნი არიან და მეორეც, აქ არ ვაჭრობენ, ალაგს არ ეძებენ, არაფერი არ აინტერესებთ გარდა ბრძოლისა და ხალხის თავისუფლების — და ხალხმაც იცნო ისინი. აი, სად არის ინტერნაციონალური ს. დ. ძალა. ხალხი ინსტიქტიურათ არკვევს მის მტერ-მოყვარეს... ს. დ. დროშის ქვეშ არ იყო სომეხ-რუსურია-ნემეცი? როგორ არ იყო, მარა სპარსეთის ხალხი განვითარებით დაბლა დგას, ის ვერ არჩევს და ვერ ხედავს თითო-ოროლა პირს და უმრავლესობის ეროვნებას მისდევს, მის სიავ-კარგეს უყურებს. განა თითო-ოროლა ულირსნი პირნი ქართველებშიაც არ იყვნენ აქ, მარა, არ ჩანს, ქართველები აქ არ ვაჭრობენ, მათში სისხლის ღვრა მშვიდობიანობის დროს არ ყოფილა და მასთან ქართველების შესახებ ძველი ისტორიული ტრადიციაც არის აქ. შეიძლება მე კითხვას ვერ ვანათებ კარგათ, მარა ფაქტების სინამდვილეში კი პასუხის-მგებელი ვარ ისტორიის წინაშე.

ქართველებს ესმით ჩვენი ზნე-ჩვეულება-ადათი, ჩვენ ერთი ხალხისგან მოვმდინარეობთ, ისინი ჩვენ ყოველთვის გაგვიგებენ — აქ ისტორიული ნათესაობაა და ამიტომ რამდენიმე პირი მაინც საჭიროა — თქვა. შემდეგ ს—ვმა ჩამოთვალა რამდენიმე ქართველი: ნ. ჟორდანია, რამიშვილი და სხ. ცხადია, თუ რა დიდი გავლენა ქონია ს. დ. მოძრაობას სპარსეთში და რა დიდია მათი როლი და ღვაწლი საზოგადოთ.

მე ჩამოვთვალე რამდენიმე სომეხი ს. დ. მოღვაწე და მათ შორის დავასახელე გეურქ ყ—იანცი.

ოჰ, მე მას ვიცნობ, ის ძლიერ კარგი კაცია, მასთან ბანკშიაც მქონდა საქმე, მარა ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო, სანამ ჩვენ სახელმწიფო მოღვაწეთ სომხის ხალხის მოწყვეტა შეგვეძლება... მართალია, სპარსეთში არ ყოფილა სომეხ-თათართა შეტაკება, მარა გავლენა მაინც იქონია სპარსეთზე ოსმალო-კავკასიაში ამ ორ ერში დაღვრილმა სისხლმა და მეორეც, რეაქციის საშუალება ექნება ხალხი აამხედროს სომეხ პირის წინააღმდეგ, — დასძინეს.

13 ოქტომბრის გაზეთი „ირან ნოვ“ მოუწოდებს ყველა ჯგუფებს, თავი დაანებონ პარტიულ ორგანიზაციების შექმნას სპარსეთში და ყველამ ეცადოს პირველ ყოვლისა სპარსეთი იხსნან დალუპვისაგან...

ჩვენ ვფიქრობთ, თვით ეს მოწოდება საუკეთესოთ ახასიათებს, რომ აქ ჯგუფების დაყოფა ნიშნავს კლასების გაღვიძებას, რომ ეს ჯგუფები თავის მონათესავე ჯგუფებს შეუერთდება და ბოლოს ერთ რომელიმე კლასის ინტერესების დამცველი შეიქნება...

სალამოს იბრაგიმის მიერ დაწერილი ს.-დ. პროგრამა-მინიმუმი წაუღო რახიმზადეშ ერთ დეპუტატთაგანს, რეშტიდან არჩეულს, რომელსაც ერთ თეირანის წინა მიტინგზე ულაპარაკნია და თავის თავი ს. დ. გაუცვნია.

ამ დეპ ტატმა აღუთქვა: ამ პროგრამას გავაცნობ ჩემ თანამოაზრეთ, რომელიც ათ კაცამდე მოიპოვება ირანში უკვე მოსულ დეპუტატებშიც, და ვეცდები გიშოვოთ ფული, რომ გაზეთი გამოსცეთ და ს. დ. შეხედულება გამოვსთქვათ მომავალ მეჯლისზედო...

ჩვენ ვფიქრობთ, ს. დ. სახელი ესაჭიროება დღეს ზოგ დეპუტატ-პირებს, ერთი-მეორის სახელის გასატეხათ, თორემ ამ პარტიის მნიშვნელობა, იდეის ცხოვრებაში გატარება ბევრ მათგანს არაფრათ ეპიტნავება...

ვლასა მგელაძე.

# ახალი ამბავი

**სამადლობელი დეპეშა.** ქალაქის თვითმართველობამ დიდი მთავრის სერგეი მიხეილის ძის მიერ გამოგზავნილი სამადლობელი დეპეშა მიიღო იმ სამგლოვიარო დეპეშის საპასუხოთ, რომელიც ქალაქის გამგეობამ გაგზავნა დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზისძის გარდაცვალების გამო.

✦ **პოლიცმეისტერის განკარგულება.** პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ ბოქაულებმა ენერგიული ზომები მიიღონ 11 წ. ქალის, ტ. ვ. რევაზოვის მოსაძებნათ, რომელიც 6 დეკემბერიდან ბებია ქალის ოქროპიროვის ბინიდან, ამატუნიევის ქუჩაზე ბაკურაძის სახლიდან გამოვიდა და სახლში ჯერ არ დაბრუნებულა.

✦ **ჩვეულებრივი სალამო,** რომელიც ყოველ წლივ იმართება 6 იანვარს თფილისის ქართულ გიმნაზიის სასარგებლოთ, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის გარდაცვალების გამო გადადებულ იქნა სხვა დროისთვის.

✦ **შეპყრობა.** 9 დეკემბერს პოლიციამ შეიპყრო ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებულნი: გორის მაზრ. მცხოვრებთ მ. ბაიდაროვი და კ. ბ. ქეინიშვილი. შეპყრობილთ სამართალში აძლევენ.

✦ **მკვლელობა.** 9 დეკემბერს ღამით ვორონცოვის ქუჩაზე, ბასენცოვის ქარხანაში იპოვეს 50 წლის, ა. ნ. აიტინიანცის გვამი. აიტიანიანცი ხსენებულ ქარხანაში მუშაობდა. გამოძიებამ გამოარკვია, რომ მკვლელობა ბასენცოვის მოსამსახურეს ა. ნ. ხაჩატუროვს ჩაუდენია.

✦ **ნებართვა.** თფილისის გუბერნატორმა ნება დართო სახალხო კითხვის მომწყობ საზოგადოების გამგეობას, რუსულის გარდა ქართულ და სომხურ ენებზედაც მოაწყოს სახალხო კითხვა, მხოლოდ გამგეობა ვალდებული იქნება კითხვის პროგრამა თფილისის პოლიცმეისტერს წარუდგინოს განსახილველათ.

✦ **თფილისის გუბერნატორმა** ნება დართო გერმანულ „განათლების საზოგადოებას“, გახსნას თფილისის მაზრაში ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ხსენებულ ბიბლიოთეკას მიაწვდის წიგნებს ოდესაში არსებული ბიბლიოთეკა, რომელიც ამავე საზოგადოებას ეკუთვნის.

✦ **იურიდიულ საზოგადოების სხდომა** იმის გამო, რომ, ე. ი. ანტუშევიჩმა რეფერატის წაკითხვა შეაჩერა „ვექილობის ზნეობის საფუძვლის“ შესახებ, შემდეგისათვის გადაიდო.

✦ **სამოსწავლო კომისიის დადგენილება.** ქალაქის სასკოლო კომისიამ 8 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა, საშობაო უქმეებზე სახალხო სახლში პირველ დაწყებითი სკოლების მოსწავლეთათვის გამართოს სამი წარმოდგენა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. სახელოსნო სკოლის მოსწავლეთათვის წარმოდგენა 28 დეკემბერს გაიმართება, რომელშიაც თვით მოსწავლეები მიიღებენ მონაწილეობას.

✦ **ქალაქის გამგეობამ დაადგინა,** რომ ქალაქის განათება ისევ იჯარით გაიცეს. ვაჭრობა დანიშნულია 16 დეკემბერს.

✦ **უბედურ შემთხვევებში ჩქარი დახმარების** ორგანიზაციის მოსაწყობათ, შაბათს, 12 დეკემბერს, ქალაქის შენობაში მოხდება საგანგებო კომისიის სხდომა.

✦ **სკოლების რევიზია.** თფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი პ. ა. ფედოროვი სკოლების სარევიზიოთ გაემგზავრა თელავისა და სიღნაღის მაზრებში.

✦ **ქალაქის გამგეობამ** თხოვნით მიმართა თფილისის გუბერნატორს, რომ მან ხაზინიდან დახმარება აღმოუჩინოს ქალაქს ჯარის ბინის ქირის 70,000 მ. გადასახდელათ.

✦ **პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკაში** ნოემბრის განმავლობაში შესულა სულ 3168 მკითხველი, ამათგან 2667 მამაკაცი—129 ქალი, 372 მოსწავლე. საშვალო რიცხვი მკითხველებისა დღეში 105-დე ადის.

✦ **საქველმოქმედო სალამო.** სომხის საქველმოქმედო სალამო, რომელიც 12 დეკემბერს უნდა შემდგარიყო, 26 დეკემბერს მოხდება „არტ. საზ.“ შენობაში.

✦ **იუბილეი.** დღეს, 11 დეკემბერს, თფილისის „არტ. საზოგად.“ შენობაში, თფილისის ცენტრალურ საავადმყოფოს მოსამსახურენი იუბილეის გადაუხდიან ხსენებულ საავადმყოფოს ფერშალს ვ. ე. კარსეგოვს, რომელიც 20 წელიწადია ამ თანამდებობას ასრულებს.

✦ **რედაქციამ მიიღო გალოდი ჯაყელიძის მიერ რედაქციის სასარგებლოთ შეგროვილი ფული სად. ბალაჯარაში—სულ 7 მ.** შემომწირველთა სია: ეპიფანე გურიელიძე, ვ. გოცირიძე, ჩიჩიკო, ვ. მეტონიძე, იაგორ, ს. შარაშიძე, ეპიფ. მენაბდე, ერ. ბალათურია, იგ. ცეცხლაძე, დ. ცომაია ვ. მანჯგალაძე, ვ. თხილაძე, გ. ტუაბლაძე, გ. ჩელიძე, შემოსწირა თითომ ათ-ათი შაური.

# უკანასკნელი ფოსტა

## ოსმალეთი

**ნაციონალური ორგანიზაციების დახურვა.** „რუსსკოე სლოვოს“ სალონიკიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ ოსმალეთის მთავრობამ დახურა ყველა არა ოსმალთა ნაციონალური ორგანიზაციები უსკიუბში.

**საბერძნეთის ბიუჯეტი.** საბერძნეთის ფინანსთა მინისტრმა პარლამენტს წარუდგინა მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ძირითადი ციფრები ამ ხარჯთ-აღრიცხვისა ასეთია: გასავალი—146 მილიონი დრახმა *). შემოსავალი—148 მილიონი დრახმა. სახელმწიფო კასაში 2 მილ. დრახმა რჩება ზედმეტი. პარლამენტში მოელიან ბიუჯეტის სასტიკ კრიტიკას. მოსალოდნელია სამინისტროს გადაყენებაც.

*) ბერძნული დრახმა ერთ ფრანკს უდრის.

## საზღვარ-გარეთ

**სერებრიაკოვას საქმე.** როგორც ამას წინათ ვსწერდით, ბურცევმა სერებრიაკოვას ქალს, რომელიც რევოლიუციონურ პარტიებში კარგათ ცნობილათ ითვლებოდა, პროვოკატორობა დასწამა. ქალმა სერებრიაკოვისამ ბურცევს წერილი მისწერა და სამედიატორო სასამართლოს დანიშვნას მოითხოვს თავის საქმის შესახებ. სასამართლო შესდგება პარიზში. ბურცევს ამის შესახებ გაზეთების თანამშრომლებისათვის უთქვამს, რომ სერებრიაკოვას პროვოკატორობის დასამტკიცებლათ საჭიროზე მეტი მასალაც მაქვს შეგროვილიო.

**ისპანიის პოლიციის ვერაგობა.** როლდად ვილაფრანკამ, რომელიც საფრანგეთში აგიტაციას ეწევა ფერერის საქმის ხელ-ახლა გადასინჯვის შესახებ, ბარცელონიდან ხოზე ფერერისაგან (ძმაა ცნობილი ფერერის) დეპეშა მიიღო: პრაპაგანდა შესწყვიტეთ, დაუყოვნებლივ ჩამოდით საქმის გადასასინჯათ.“ სოლედად ვილაფრანკა მართლაც გაემგზავრა ესპანიაში. საზღვარზე მან ახალი დეპეშა მიიღო ხოზეს ცოლისაგან: „ჩემი ქმარი დატუსაღებულია, თუ ღმერთი გწამს, ესპანიაში არ ჩამოხვიდეთ, უეჭველათ დაგატუსაღებენ.“ მართლაც, საზღვარზე სოლედადს ისპანიის პოლიციის მოხელენი და ჟანდარმები უცდიდენ. სოლედადი უკანვე დაბრუნდა. როგორც გამოირკვა, პირველი დეპეშა სოლედადისათვის ესპანიის პოლიციას გაეგზავნა, რომ ის ხელში ჩაეგდო და ფერერის სასარგებლოთ გამართულ აგიტაციისათვის ბოლო მოეღო. საფრანგეთის პრესა ძალიან აღშფოთებულია ესპანიის მთავრობის საქციელით.

**ავსტრიის პარლამენტში.** ავსტრიის პარლამენტში ობსტრუქცია ისევ გრძელდება. ჩეხი დეპუტატები ისევ განაგრძობენ გრძელ-გრძელი სიტყვების წარმოთქმას. ქანდარაზე მოთავსებული ხალხი ღელავს. მიუხედავათ თავმჯდომარის მრავალ გზის გაფრთხილებისა, პარლამენტში მუდამ ხმაურობა, ყვირილი და ფეხების ბაკუნი მოისმის. ობსტრუქციონისტების ადრესზე ხშირათ მოისმის სიტყვები: „მატყუარებო“, „ჩარჩებო“ და სხვა. თავმჯდომარე იძულებული შეიქნა სამჯერ გარეკა ხალხი პარლამენტის დარბაზიდან. უკანასკნელი გარეკის დროს ხალხმა სოციალისტური სიმღერა „არბაიტ ჰოხ“ შემოსძახა და ისე დაიშალა.

## რუსეთი.

**ვარშავიდან გაძევება.** ამ დღეებში ვარშავაში ჩავიდა გრ. ს. პეტროვი და „ბრისტოლის“ სასტუმროში ჩამოხტა. ის შვეიცარიიდან შვილს მოელოდა. სასტუმროში ბოქაული გაჩნდა და პოლიცმეისტერის სახელით პეტროვს წინადადება მისცა დაუყონებლივ დაეტოვებია პოლონეთის სამეფოს საზღვრები. პეტროვმა პოლიცმესტერს სთხოვა რამდენიმე დღით დარჩენის უფლება, რაზედაც უარი მიიღო.

**შჩეგლოვიტოვის თხოვნა.** დუმის კულუარებში გადაწყვეტით ამბობენ, რომ იუსტიციის მინისტრმა ი. გ. შჩეგლოვიტოვმა უმაღლესი მთავრობის სახელზე თხოვნა შეიტანა და სამსახურიდან გადადგომას თხოულობსო. ნაციონალისტების აზრით შჩეგლოვიტოვის გადადგომის მიზეზი ის არის, რომ მთავრობის მიერ შემუშავებულმა პროექტმა ადგილობრივ სასამართლოების შესახებ სახელმწიფო საბჭოში დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია.

**განხეთქილება პროფესორებში.** სატახტო გაზეთების სიტყვით, პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორს ი. ი. ბორგმანს და პრორექტორს დ. ა. გრიმს თანამდებობიდან გადადგომა გადაუწყვეტიათ. მიზეზათ ასახელებენ უკანასკნელ ხანებში უნივერსიტეტში მომხდარ ამბებს. პოლიციის უნივერსიტეტში შეყვანამ და სტუდენტების კრებების აკრძალვამ პროფესორებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რექტორ-პრორექტორის წინააღმდეგ.

**საარჩევნო აგიტაცია.** ფინლიანდიაში საარჩევნო აგიტაცია დიდი ენერგიით ვითარდება. ამრჩევლები ფინლიანდიის ყოველი კუთხიდან უთვლიან პარტიებს—კანდიდატათ დაასახელონ პოპულიარული პირები. მოითხოვენ აგრეთვე ლეო მუხელინის არჩევას სეიმში და იმედი აქვთ, რომ მისგანაც თანხმობას მიიღებენ. ამრჩეველთა ოპოზიციონური სულის-კვეთება და გარეკილი სეიმისადმი სიმპატიები ყველასათვის აშკარაა.

**სრულიად რუსეთის სამღვდელოების კავშირი.** ვოლინსკის ეპარქიის ზოგიერთმა ცნობილმა მღვდლებმა, რომელნიც ჭეშმარიტ რუსთა კავშირს ეკუთვნიან, არქიეპისკოპოს ანტონის ინიციატორობით რუსეთის სამღვდელოებისადმი მოწოდება შეიმუშავეს, რომლითაც მათ წინადადებას აძლევენ შეერთდენ „სრულიად რუსეთის სამღვდელოების კავშირში“ კრამოლასთან საბრძოლველათ, მართლმადიდებელი ეკლესიის და საკუთარი წოდების დასაცავათ. მომავალი „სრულიად რუსეთის სამღვდელოების კავშირის“ ორგანოთ აზრათ აქვთ გახადონ „საეკლესიო უწყებები“, რომელიც უწმ. სინოდთან გამოდის.

**ციხის უფროსის წერილი.** „სმოლენსკის მოამბეში“ სმოლენსკის საკატორღო ციხის უფროსს წერილი მოუთავსებია, სადაც აღნიშნავს იმ აუტანელ პირობებს, რომელშიაც ტუსაღებს ცხოვრება უხდებათ. ცუდი ჰაერისაგან და სინოტიესაგან ბევრი ტუსაღები ჭლექით ხდებიან ავათ და წუთი სოფელს ესალმებიან. ციხეში მოთავსებულია 717 ტუსაღი.

**პოლონური ენის დევნა.** სახალხო განათლების სამინისტრომ აკრძალა „ვარშავის უნივერსიტეტის უწყებებში“ პოლონური ენის და ლიტერატურის პროგრამის ბეჭდვა, აგრეთვე ისეთი სამეცნიერო გამოკვლევების მოთავსება, რომელიც პოლონურ ენაზე იქნება დაწერილი.

# პროვინცია

ს. აცანა. გამუდმებულ გვალვების გამო მოსავალი ძლიერ ცუდი იყო აქ წელს. საუბედუროთ, ვისაც რამდენიმე ფუთი სიმინდი მოუვიდა, იმასაც ხეშელა გაუჩნდა და საჭმელათ აღარ ვარგა. ხალხი შიმშილს მოელის. თითქოს კულტურულათ ჩვენი საზოგადოება სხვა სოფლებზე ჩამორჩენილი არ არის: ორ-კლასიანი სავაჟო და ერთ-კლასიანი საქალებო სასწავლებელი, მაგრამ არც ერთში და არც მეორეში სწავლის საქმე არის რიგზე დაყენებული.

ლანჩხუთის ყოფილ ბოქაულის მიქიაშვილის მიერ გაფლანგული ფული ხელმეორეთ გადაახდევინეს საზოგადოებას. ისედაც გაჭირვებულ ხალხს ეს-და აკლდა. აცანელი.

—

გურია. ბახვის საზოგადოებაში ხალხს დრამა-ფული გადაახდევინეს რვაას სამოცდა რვა მანეთი (868 მ.). ღვაბზუს საზოგადოებაში 664 მ. კახურის საზ—ში 460 მ. ხვარბეთისაში 740 მ. ეს არის თითო წლის. თუ სხვა საზოგადოებებმა რამდენი გადიხადეს, ამაზე ახლო მომავალში.

— სად. ნატანები. 28 ნოემბერს, დამის 3 საათზე სად. სუფსას და ნატანებს შუა გასტეხეს საქონლის მატარებლის ვაგონი. ვაგონის გატეხა გაიგო კონდუქტორთა „ბრიგადამ“. წაღებულ საქონლიდან მძარცველებს დაატოვებიეს ყველა გარდა ერთ იაშიკ საქონლისა. ამის გამო ეჭვით დააპატიმრეს რემონტის მუშები.

ამავე ღამეს ნატანებში გაქურდეს მე-3 კლასის მებუფეტე. მოჰპარეს 9 მ. ფულათ, საათი, სათვალე და სხვა ნივთები.

— სადგურ ნატანებში არც ერთი ჟურნალ-გაზეთი არ მოდის და არც არავინ იწუხებს თავს. სამაგიეროთ, გამეფებულია, კარტ-ნარდის თამაში, ლოთობა, ლანძღვა-გინება და სხვა ასეთები.

— 2 დეკემბერს, ღამით ოზურგეთში გაქურდეს ოტ. ურუშაძის მანუფაქტურის მაღაზია. წაიღეს 900 მანეთამდე ძვირფასი საქონელი. პოლიციამ ენერგიული ზომები მიიღო ქურდების აღმოსაჩენათ. ხალხსაც აარჩევიეს ქურდების აღმომჩენელი კომისია.

— ლიხაურის, შემოქმედის, ღვაბზუს, ბახვის, კახურის, ხვარბეთის, მიქელ-გაბრიელის, ჩოჩხათის და სხვა საზოგადოებებში ხელმეორეთ ახდევინებენ სახელმწიფო და სხვა გადასახადებს, ორი-სამი წლისას. ამის გამო სოფლებში სტრაჟნიკებია ჩაყენებული. ხალხი უკიდურეს განსაცდელს განიცდის. რა წყალში ჩავარდეს არ იცის. ყოფილ ადმინისტრაციის კვიტანციებს, რომ ხალხს ფული გადაუხდია, არავინ დებულობს.

— ამ დღეებში ქ. ბაქოდან ეტაპით მოიყვანეს ი. მგელაძე, რომელსაც ბრალს სდებენ გურიაში მოძრაობის მონაწილეობაში, მის შესახებ გამოძიებას ახლო ხანებში მოახდენენ. მგელაძე ოზურგეთის ციხეში მოათავსეს.

---

სხვისი დევნა შეუძლია მხოლოდ იმისათვის, რომ ის ამა თუ იმ ეროვნებას ეკუთვნის (მარჯვნიდან: სიცრუეა!) საკუთრება წმინდაა, საკუთრება ხელ-უხლებელია, საკუთრების გარეშე არ არსებობს პიროვნება, საკუთრების გარეშე შეუძლებელია პირადული საკუთრებით თავისუფლათ სარგებლობა (მარჯვნიდან: თქვენ ამბობთ, ბ. ჩხეიძე, რომ საკუთრება წმინდაარ?) — ასე გველაპარაკებოდენ და დღესაც გველაპარაკებიან ჩვენ სხვა და სხვა ჯურის ბატონები. მერე რა გარანტიებს გაძლევენ, ბატონებო, იმისთვის, რომ ეს საკუთრება, ნამდვილათ, განვითარდეს დამშვიდებულ სახელმწიფოში? თავისუფლების დღეებში გამოაშკარავებულ იქნა ამ დებულების მთელი სიცრუე, რადგან დამტკიცდა, რომ საკუთრება ხელუხლებელია მხოლოდ ბატონ ექსპლოატატორების ხელში, და არა ხალხის მასსის, გლეხების და მუშების ხელში. რას ვხედავთ დღეს, როგორი მდგომარეობაშია რუსეთში ეს საკუთრება? ამის შესახებ ერთი მხრით შეგვიძლია შევეკითხოთ სენატორ გარინს და მეორე მხრით იმ ახალ მოქალაქეებს, რომლებიც შარშან ამ ტრიბუნიდან ქარიყლაფია თევზის (щука) სახელით მონათლეს (მარცხნით ტაში). დამშვიდებულმა რუსეთის სახელმწიფომ რუსეთის ხალხს მიანიჭა ერთი სრულიად ახალი გარანტია, თქვენ ალბათ მიხვდით, ბატონებო, რადგან ეს უფლება ყველაზე მეტათ გავრცელებულია დღეს რუსეთში, ეს გახლავთ თვითმკვლელობის უფლება. თქვენ ხედავთ, როგორი განსაცვიფრებული სისწრაფით იზრდება თავის მოკვლა რუსეთში. ბ. ბ. დამამშვიდებლებმა რუსეთის მოქალაქე იმ შეგნებამდე მიიყვანეს, რომ მას ნამდვილათ ესაჭიროება დამშვიდება საუკუნო, ნირვანაში ჩაყურყუმალება. ასეთი შეხედულობა ფეხს იკიდებს არა მარტო მოხუცებულებში, რომელთაც თავის საუკუნე უკვე გაუვლიათ, არამედ — რაც ყველაზე საშიშია, ახალგაზდებშიდაც. რვა წლის ბავშები მატარებლებს ქვეშ უცვინდებიან და წერილს სტოვებენ, რომ ასეთ პირობებში სიცოცხლე შეუძლებელია. დედები თავზე ნავთს ისხამენ და შვილებთან ერთათ ცეცხლის მსხვერპლი ხდებიან. დიახ, ბატონებო, დამშვიდებულ სახელმწიფოში მხოლოდ „თვითმოსპობისა და თვითმკვლელობის“ ლოზუნგი-ღა მოისმის. ასეთ ნიადაგს ამზადებენ 17 ოქტომბრის მანიფესტის განსახორციელებლათ. საჭიროა ყოველივე ამის სისტემაში მოყვანა და ზედ ბეჭედის დასმა, — ამას სჩადის მესამე დუმა მისი უმრავლესობის სახით. ამ უმრავლესობის მიერ შემუშავებული პიროვნების ხელუხლებლობის კანონპროექტი რუსეთის მოქალაქეს მხოლოდ უუფლებობის აქტს ანიჭებს და თან ეუბნება: აი შენი უფლებანიო. რამდენათაც მახსოვს, აქ დეპუტატმა მაკლაკოვმა ამას წინათ ტრაგიზმზე ილაპარაკა. მდგომარეობის ტრაგიზმი, ბატონებო, იქ, კი არ არის, სადაც მან მიგვითითა, არამედ იმაში, რომ მე XX საუკუნეში 150 მილიონი მცხოვრები თავის „ჰაბეას კორპუს აქტს“ ბ. ბ. გოლოლობოვების ხელიდან ღებულობს (მარცხნით ტაშის ცემა). აი, ბატონებო, სადაა რუსეთის ხალხის ტრაგედია. მაგრამ რუსეთის ხალხი არ მოუცდის ამ ტრაგედიის გადაწყვეტას. მან სთქვა, შემდეგ გამოსვლამდეო; ამ შემდეგ გამოსვლის დროს ის თქვენ პირისპირ შეგვხვდებათ და მხოლოდ მაშინ მიიღებს თავისუფლებას ნამდვილ ხარტიას (მარცხნით ტაშის ცემა. მარჯვნიდან: დაჩუმდით რევოლიუციონერებო!).

— დაჭერილ ხვარბეთელებიდან პოლიციამ განთავისუფლა მურვანიძე და ლოლუა. დანარჩენი ისევ ციხეშია. ეძებენ ქ—ძეს. ეგზეკუცია მოითხოვს გარდა თოიძის ქალის დამღრჩობით თ. ქარცივაძის მკვლელს და აგრეთვე კატორღაში გაგზავნილ პ. მჟავიას, რომელიც იქიდან გამოქცეულა. ეგზეკუციის დღიური ხარჯი უდრის 45-დან 55 მანეთამდე.

— ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ არა ერთხელ გამოიტანა განაჩენი ქუჩების შეკეთების შესახებ, მხოლოდ განაჩენს ფაქტიური მსვლელობა ვერ მისცეს და ასე ამრიგათ, უყურადღებოთ დატოვებულია ქალაქის ქუჩები დიდი ხანია ჩვენს ქუჩებს არ მოსწრებია შეკეთება. დღეს კი ისეთი ტალახი სდგას, რომ გავლა ძნელია. საჭიროა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს.

— სოფ. ლიხაურს და შემოქმედს აზრათ აქვს გახსნან ბიბლიოთეკა-სამკითხველო და ნებართვის ასაღებათ მიმართონ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას.

— სოფ. ლიხაურში უკვე შეუდგენ საქალებო სკოლის გახსნის შესახებ ზრუნვას.

— ოზურგეთის სატუსაღოში ამ ჟამათ ბევრი ტუსაღია. თითო კამერაში ნაცვლათ 5-დან 10-მდე ტუსაღისა ზის 25-დან 30-მდე.

—სი.

—

პანძა (სამეგრელო). ამ დღეებში ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა გასტეხეს ებრაელის მაღაზია და წაიღეს 500 მან. ღირებული საქონელი.

უწისქვილობამ საზოგადოება ძლიერ შეაწუხა, თუმცა კერძო პირებს აქვთ წისქვილები, მარა ესენი ტყავს აძრობენ ხალხს. საზოგადოებამ მდინარე აბაშაზე თვითონ ააშენა წისქვილი, რომელიც ამ დღეებში დაიწყებს მოქმედებას. წევრათ ითვლება 70 კაცამდე. რაც შემოსავალი იქნება, საერთო კასაში შეიტანენ და შემდეგ კი რაიმე კულტურულ საქმეს მოხმარდება.

ბანძის ახლო 1 ვერსის სიშორეზე მდებარეობს სოფ. ნაგებერთუ. აქ საეკლესიო დღესასწაულს უქმობენ 5 ნოემბერს, რომელსაც ალერტობას ეძახიან. ამ დღეს გარემო სოფლებიდან მოდის აუარებელი ხალხი სალოცავათ, ზოგს ურმით მოყავს ავათმყოფი. ეკლესიაზე გბერთელა ჯაჭვი ძევს, რომელსაც მლოცველები შემოივლებენ სამჯერ თავზე. ხალხი ისეა დარწმუნებული, თუ ავათმყოფს შემოავლეს ის მორჩება. კერპთ-თაყვანის ცემას და ცრუ მორწმუნეობას ჩვენს ხალხში კიდევ გასავალი აქვს.

მე ვარ ნოე.

—

**საგურამოს რაიონი.** ცოტა ხანში სულ თითქმის აკრიფა ადმინისტრაციამ დარჩენილი „ფოშტის" ფული და თან ახალიც, რამაც ძლიერ გაჭირვებაში ჩააყენა ხალხი. გარდა ამისა, ხალხს დაავალეს მიეცათ ამკრეფლებისთვის ჭერი თივა, ქათამ-ინდაური და სხვა. ქერის გულისთვის სოფ. წინამძღვრიანთ-კარში კინაღამ უბედურება დატრიალდა. ერთ გლეხისთვის ებრძანებიათ ქერის მოტანა. გლეხს მოუტანია ქერი და რადგანაც ცოტა სჩვენებიათ, თოფით კინაღამ მოუკლავთ, რამაც გამოიწვია ბავშვების და დედაკაცების წივილ-კივილი.

ხალხის გაჭირვებას ზედ ერთვის სხვადასხვა გადამდები ავათმყოფობა, რომელმაც რამოდენიმე ადამიანი უკვე იმსხვერპლა. თუმცა სოფ. ჭოპორტში დაარსდა „ფერშლის პუნქტი", რომელიც ზოგ სოფლებზე მოშორებულია 10—15 ვერსტის მანძილზე, ხალხი მაინც ვერ სარგებლობს და წამლისთვის მცხეთაში დადიან. ერთი სიტყვით, მთელი რაიონი მოკლებულია საექიმო დახმარებას და უვარდებიან ხელში ისეთ ადამიანებს, რომლებიც შელოცვით და სხვა ამ გვარი წამლებით საიქიოსკენ ამგზავრებენ თავიანთ ავათმყოფებს.

გვალვის გამო მოსავალი აქეთ ძალიან ნაკლები იყო. ღვინო, ვისაც ორას-სამასი ვედრო მოსდიოდა, წრეულს ნახევარიც არ მოსვლია.

„ობერი".

# მუშათა შორის

—

**ჩაქვი.** რემონტის მუშები. აქაურ რკ. გზის რემონტის მუშებზე არა ერთხელ დაწერილა ჩვენს გაზეთებში ს. ჩ—ძის ბატონობის დროს, მაგრამ მაზე მაინც ვერაფერმა იმოქმედა. მის გადაყვანას რემონტის მუშები აღდგომის დღესავით მოელოდენ; ეგონათ, თავისუფლათ ამოვისუნთქეთო, მაგრამ მოსტყუვდენ. მის ადგას გადმოყვანილი ახობაძე უარესი გამოდგა. ეს ვაჟბატონი სულ რამდენიმე თვეა, რაც აქ გადმოიყვანეს, მაგრამ ამ მოკლე დროშიაც საკმაო თვალსაჩინო ცვლილება შეიტანა რემონტის მუშათა ცხოვრებაში:

ყველა ყაზარმებში, (ასე ეძახიან რემონტის მუშების საცხოვრებელ ბინას) სადაც ათი-თუთხმეტი მუშა ცხოვრობს, წესათ არის დადგენილი მორიგეობა: თითო მუშამ მოიცადოს ყაზარმაში და მჭადი გამოაცხოს და ლობიო, ან სხვა საჭმადი გააკეთოს, ამ მორიგე მუშის სამუშაოს დანარჩენი მუშები ასრულებენ. ამით არც რკინის გზა ზარალობს და მუშებს ათი საათის ლიანდაგზე მუშაობის შემდეგ, ბინაზე ყველაფერი მზამზარეული ხვდებათ; ასეთი მორიგეობა ბ. ახობაძემ მუშებს მოუსპო, როგორც შეუსაბამო რკინის გზის არსებულის წესებისა და მით მომაკვდინებელი დანაშაულობა ჩაიდინა მუშების წინაშე; თითონ კი ამ წესების წინააღმდეგ ორი კაცი შუდამ სახლში ჰყავს, ერთ მათგანს ძროხებს აწველინებს და მეორეს შეშას აჭრევინებს და წყალს აზიდვინებს. —ბ. ახობაძის საცხოვრებელი ბინა შესდგება სამი კარგი, გრძელი ოთახისაგან, ხოლო საჭმელის გასაკეთებელი და შეშის დასაწყობი სამზარეულო ცალკე აქვს. მის საცხოვრებელ ბინის მეორე ოთახში ცხოვრობს თუთხმეტამდე მუშა, რომელთაც იმავე ოთახში აქვთ საჭმლის გასაკეთებელი „ქურა". ახობაძემ აუკრძალა მუშებს ამ ქურაზე საჭმელის კეთება და თვითონ სარგებლობს, მუშებს ეუბნებიან: პური იყიდეთ და სჭამეთო. რკინის გზაზე წესათ არის: ავათმყოფ მუშას ორ სამ დღეს და მეტსაც თავის განკარგულებით ანთავისუფლებს ექიმი, თუ მუშა შტატშია ჩარიცხული, მას სრული ჯამაგირი ეძლევა, თუ დღიურია, მაშინ მისი ჯამაგირი დამოკიდებულია „უსმოტრენიაზე". ბ-ნი ახობაძე ექიმის განთავისუფლებულ მუშებს ასე ეუბნება: „თუ ავათ ხარ, ლოგინზე იწევი, წინააღმდეგ შემთხვევაში დღეები დაგაკლდებაო, და რამდენიმეს კიდევაც, ავათმყოფობის დღეებში გამცდარ დღეებათ დაუწერა.

ბ. ახობაძესთან იყო უფროს მუშათ ი. მუჯირი, კაცი პატიოსანი და მუყაითი თავის საქმეში; ის თითქმის ორ წელიწადს უსაქმოთ იყო დარჩენილი წარსული მოძრაობის მიზეზით; წვრილი ცოლშვილით, შეჩვეულ ადგილას ცხოვრობდა, სადაც მას იცნობდენ და ის სხვას იცნობდა. სახლიც სახელმწიფო ეძლეოდა, შეშა და ნავთიც; ბ. ახობაძე, ჩვეული „ბრუციანების" წერაში, აუჩირდა მუჯირს დაეწერა „ბრუციანები". მუჯირს ისეთი მოქმედების უნარი არა აქვს და ის იძულებული გახდა მოშორებოდა ახობაძის შარს, მან გადაუცვალა ადგილი ნიგოითელ უფროს მუშას, სადაც არც სახლი ეძლევა სახელმწიფო არც შეშა და არც ნავთი (ადგილის გადაცვლა ხომ რკინის გზაზე უქრთამოთ არ ხდება). მაგრამ მაინც მოშორება არჩია ჩაქვაში დარჩენას, ეს გარემოება საკმაოთ ახასიათებს ბ. ახობაძის პიროვნებას, მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ენას ისე არ მოაბრუნებს, რომ ჟანდრმის პოლკოვნიკის სახელი არ ახსენოს; ალბათ მუშებს შიშის ზარს სცემს ამით; მუშების დათხოვა და ახალის მიღება, ეს ხომ ნაანდერძევი აქვს მისი წინამოადგილესგან და ჩვენც ჩვეულებრივ მოვლენათ უნდა მივიღოთ; —ბ. ახობაძის მოქმედება ადგილობრივ ნაწილის უფროსის ყურამდეც მიაღწია, მაგრამ ცნობების შეკრების დროს ერთმა მუშამაც ვერ გამოიჩინა იმდენი მოქალაქობრივი გამბედაობა, რომ სიმართლე აღეარებია უფროსთან და ყოველმა ცდამ უფროსისამ რაიმე სიყალბეში დაეჭირა, ამაოთ ჩაიარა.

გამვლელი.

—

**ოზურგეთი.** ნოქარ შეგირდთა შორის. ნოქარ-შეგირდების აუტანელმა მდგომარეობამ უმწვერვალეს წერტილამდე მიაღწია. ხაზეინების „მუხრუჭში" ცხოვრემა თან და თან აუტანელი შეიქნა. წინეთ მოპოებული უფლებები კარგი ხანია ხაზეინებმა უბრძოლველად უკანვე წაიღეს. გამეფდა უდიერი მოპყრობა განუსაზღვრელი სამუშაო დღე და სხ. ამ აუტანელმა პირობებმა აიძულა მომუშავე ნოქარ-შეგირდები ხმა აეღოთ. მათ შეადგინეს კოლეგიალური თხოვნა და მიართვეს მაზრის უფროსს, რომელშიაც თხოულობენ თავიანთ უფლებების დაბრუნებას და ქუთ. გენ. გუბერნატორის დადგენილების სისრულეში მოყვანას (რომელიც ოზურგეთის ხაზეინებმა ცოტ-ცოტაობით სულ გააუქმეს). მაზრის უფროსმა ეს თხოვნა მიიღო და თხოვნის მიმტანთ შეპირდა ჩამოვალ ქალაქშიო. მაზრის უფროსიც ჩამობრძანდა და თხოვნის მომტანიც დაატუსაღა. მეორე დღეს დაიბარა ნოქარ-შეგირდნი, რომელთაც თხოვნაზე ხელი ჰქონდათ მოწერილი და მათი ხაზეინები და გამოუცხადა ხაზეინებს: თავიანთ ნოქარ-შეგირდებისთვის უფლებები დაებრუნებიათ და ქუთაისის გენ.-გუბერნატორის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილება სისრულეში მოეყვანათ.

ხალხისშვილი.

# უცხოეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

### პროპორციონალური არჩევნები საფრანგეთში.

საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობაში ამ ჟამათ ყველას ყურადღებას იქცევს რადიკალ-სოციალისტურ პარტიაში მომხდარი უთანხმოება. როგორც ვიცით, ხსენებული პარტია პარლამენტში უმეტესობას შეადგენს. ეს პარტია მხარს უჭერს ბრიანის სამინისტროს. ამიტომ, ამ პარტიაში მომხდარი უთანხმოება, სამინისტროს მომავალი კრიზისის წინამორბედათ უნდა ჩაითვალოს.

უთანხმოება გამოწვეულია პროპორციონალური არჩევნების საკითხით. მომავალი წლის გაზაფხულზე საფრანგეთში უნდა მოხდეს პარლამენტის ახალი არჩევნები. ამიტომ პროპორციონალური არჩევნების მომხრე დეპუტატებმა შესაფერი კანონ პროექტი შეიტანეს ამას წინეთ პალატაში. მაშინ, მიუხედავათ იმისა, რომ უფროსმა მინისტრმა ბრიანმა კანონ-პროექტის წინააღმდეგ „ძლიერი" სიტყვა წარმოსთქვა, პალატის უმრავლესობა რეფორმის მომხრე აღმოჩნდა. ბრიანი ამტკიცებდა, რომ ეხლა საარჩევნო რეფორმის მოხდენის დრო არა გვაქვს: უნდა გავატაროთ ცხოვრებაში სოციალური რეფორმებიო და სხ., მარა როცა დეპუტატების უმრავლესობა მაინც ვერ დაარწმუნა, მაშინ პირდაპირ დასვა კითხვა ნდობის შესახებ. იმის შიშით, რომ უნდობლობის გამოცხადებით სამინისტრო გადადგებოდა და კვლავ კრიზისი დადგებოდა, პარლამენტის უმრავლესობამ უარყო კანონ-პროექტი. მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში რეფორმის მომხრე-მოწინააღმდეგე რადიკალ-სოციალისტთა შორის დამოკიდებულება გამწვავდა. ამ ჟამათ ასეთი მდგომარეობაა: რეფორმის განხორციელებას მხარს უჭერენ: სოციალისტები, კათოლიკები, ზომიერნი, ერთი სიტყვით, ყველა ის, ვისაც რიცხვით ცოტა დეპუტატები ჰყავს პარლამენტში და რადიკალ-სოციალისტების ერთი ნაწილი. ამის შესახებ ჟორესი ამბობს: „ჩვენ დიდი ხანია რაც პარლამენტის უმრავლესობას (რადიკალებს) ვურჩიეთ მიეღო თავის თავზე რეფორმის ცხოვრებაში გატარება, მარა ასე არ მოიქცენ; ეხლა კი, რადიკალების გალაშქრება რეფორმის წინააღმდეგ დიდ კრიზისს გამოიწვევს".

თვით პროპორციონალური არჩევნები შემდეგში მდგომარეობს: ხდება არჩევნები ერთ რომელიმე დიდ პროვინციაში, რასაკვირველია, მცხოვრებთა სიის მიხედვით, (საარჩევნო უფლება ამ ჟამათ საფრანგეთში საყოველთაოა), სადაც რამოდენიმე დეპუტატს ირჩევენ ერთად. არჩევნების დასრულების შემდეგ ხმებს ითვლიან. ეხლა მაგალითად ასეთი წესია: ვთქვათ, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ასი ათასმა კაცმა, ასარჩევია ათი დეპუტატი. თუ ყველა ხმებში კონსერვატორები მიიღებენ სამოც ათას ხმას, ე. ი. აბსოლიუტურ უმრავლესობას, ათივე დეპუტატათ კონსერვატორია არჩეული, დანარჩენი ორმოცი ათასი სოციალისტების თუ სხვა პარტიების ხმა იკარგება ტყუილა უბრალოთ.

პროპორციონალური არჩევნების დროს კი, თუ კონსერვატორები 60,000 ხმას მიიღებენ, მათ ეკუთვნის 6 დეპუტატი, დანარჩენი ორმოც ათას ხმაში უნდა გამოკვლეულ იქნას ვის რამდენი ეკუთვნის. ვსთქვათ, ამ ხმებში ნახევარი სოციალისტებს ეკუთვნით, ნახევარი რესპუბლიკანელებს. ამის მიხედვით—ორი დეპუტატი სოციალისტი იქნება, ორიც—რესპუბლიკანელი. არჩევნებზე დეპუტატთა კანდიდატების სიას ადგენს თითოეული პარტია ცალკე და ხმებიც იმის მიხედვით დაითვლება, თუ რომელ სიას რამდენი ხმა ამოუვიდა.

არჩევნებს ასეთი წესი დიდათ უწყობს ხელს პოლიტიკური პარტიების განვითარებას. პარლამენტშიც ყველა მიმართულებას უჩნდება წარმომადგენელი და ამ რიგათ, ქვეყნის აზრიც თითქმის სავსებით არის გამოხატული პარლამენტში თავიანთი წარმომადგენელთა საშუალებით.

ასეთი საარჩევნო წესი ამ ჟამათ არსებობს: ბელგიაში, შვეიცარიის ზოგიერთ კანტონებში და ფინლიანდიაში. ბევრი მომხრეები ჰყავს შვეიცარიის იმ კანტონებში, სადაც არ არის შემოღებული ასეთი წესი და როგორც ვხედავთ, მომხრეები ჰყავს აგრეთვე საფრანგეთში და სხვა სახელმწიფოებშიაც.

# თეატრი და ხელოვნება

—

**იაფ-ფასიანი წარმოდგენა.** ოთხშაბათს, 9 დეკემბერს, იაფ-ფასიანი წარმოდგენის მმართველმა წრემ ზუბალაშვილების სახალხო სახლში გამართა ნ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ საიუბილეო წარმოდგენა. წარმოდგენილ იქნა. ცაგარლის 4 მოქმ. კომედია „ხანუმა".

წარმოდგენის დაწყების წინ, საგანგებოთ მოწყობილ სცენაზე, იუბილიარს მიულოცეს და ადრესები წაიკითხეს, სახალხო სახლის გამგე კომისიის სახელით ბ. არღუთინსკიმ, წრის სახელით ქ. დემურიამ სახალხო წარმოდგენების მართველმა და ებრაელების წრის წარმომადგენლებმა, ზუბ. სახ. არსებულმა სცენის მოყვარეთა წარმომადგენლებმა, ოსების წარმომადგენლებმა, მუშათა ორი ჯგუფის წარმომადგენელმა და ბ. ბადრიძემ კერძოთ, თავის სახელით. იუბილიარს საჩუქრები და გვირგვინები მიართვეს. იუბილიარმა მოკლე, მაგრამ გრძნობიერი სიტყვით მადლობა გადაუხადა მიმლოცველებს და საზოგადოებას, რომელიც მხურვალე ტაშის ცემით მიეგებნენ დამსახურებულ მსახიობს.

მილოცვების შემდეგ წარმოდგენილ იქნა „ხანუმა", რომელმაც მხიარულათ ჩაიარა. წარმოდგენაში თვით იუბილიარიც ღებულობდა მონაწილეობას და თქმა არ უნდა, ჩვეულებრივათ მშვენიერი იყო.

ანტრაქტებში მუსიკა უკრავდა.

დამსწრეთა დიდი უმეტესობა ეგრეთ წოდებული „პუბლიკისაგან" შესდგებოდა. ბ. სვირელს შეუძლია იდღესასწაულოს თავის გამარჯვება...

გაზეთებში გამოცხადებული ადმინ. ვახვახოვი, უეცრათ სვირელათ გადაიქცა და ჩვეულებრივათ განაგრძობდა თავის მოვალეობას. ასე წარმოიდგინეთ, პროგრამაშიაც კი სწერია: **ადმინისტრატორი ბ. სვირელი.** გაზეთებში კი ადმინისტრატორათ ბ. ვახვახოვი გამოაცხადეს. რა საჭირო იყო ნეტავი ეს ფოკუსი?!

ელი.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ქართული დრამატიულ საზოგადოების გამგეობა უგულითადეს მადლობას უცხადებს მათ, ვინც კეთილ ინებეს და საზოგადოების ბიბლიოთეკას შემოსწირეს წიგნები. შემომწირველთა სია: გ. ნებიერიძემ ზ. ანტონოვის თხზულებათა სრული კრებული; ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისამ „ორი ობოლი" თავისავე როლებით; ტრ. რამიშვილმა „მეზობლები"; დ. ს. მგალობლიშვილმა „პატარა კახი", „ახალი გმირი", „თამარ ცბიერი", თხზ. ანტონოვისა, „ჩვიდმეტი წლისანი", „თავადი შიო", „სული ისრაელისა"; ს. ესაძემ „გუნიბის აღება", „ისტორიული წერილები საქართველოს მართველობაზე" და თ. რაზიკაშვილმა „ზღაპრების კრებული" ორი ეგზემპლიარი. ვიმედოვნებთ, რომ ამათ მაგალითს სხვებიც მიბაძვენ და მოგვაწვდიან თავიანთ წვლილს. შემოწირულებები (წიგნები და პიესები) მიიღება საზოგადოების კანტორაში, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში.

ბიბლიოთეკის გამგე
იოსებ იმედაშვილი.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირს, რომელმაც კეთილ ინება და გამოუწერა თავისი ფულით იანოულის სკოლას გაზეთი «მომავალი». გაზეთს ვღებულობთ ამ წლის პირველ ნოემბრიდან. სამწუხაროთ, გაზეთის გამომწერის ვინაობა დღემდის არ ვიცით.

იანოულის სკოლის მასწავლებელი
ფოკა ცქიტიშვილი.

—

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ბ. სიმევან გიორგის ძე გეგელიძეს, რომელიც ამ ორი წლის განმავლობაში გაზეთის გზავნით დიდ დახმარებას გვიწევს.

ბელიითის მცხოვრებლების მონდობილობით **არ. ანთიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


# განცხადება

## საჭირო

არის ჟურნალ-გაზეთებისათვის აგენტი ქ. ზუგდიდში. პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ბორჯომის ქ. № 5, რუკოვიჩთან და ქ. სამტრედიაში ვოგზალზე წიგნის შკაფში ყ. კოპალეიშვილთან. (10—1)

დ. ჩოხატაურში

## წიგნის მაღაზიაში

მიიღება ხელის მოწერა „მომავალზე" და აგრეთვე ყოველგვარ ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე. **გლეხი კაცის ისტორიაზე** კი, მხოლოდ პირველ იანვრამდე. ვღებულობთ ამასთანავე ყოველგვარ სასტამბო და წიგნების ყდების „ზაკაზებს". (10—1)

## გამოვიდა და იყიდება

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
—● **კედლის კალენდარი 1910 წ.** ●—
შედგენილი **მრ.** ჩარკვიანისაგან და გამოცემული „სორაპანი"-ს ამხანაგ. მიერ ფასი 40 კაპ.

═ **სახალხო კალენდარი** ●═
1910 წლ. შედგენილი მ. გაჩეჩილაძისაგან. ვინც ერთად არა ნაკლებ 50 ცალისას იყიდის %/% დაეთმობა.
ადრესი: Тифлисъ т-во. „Сорапань". (15—10)

## ვ. გადილიას

წიგნის მაღაზიაში (კიროჩნი ქუჩ.) ისყიდება „**მოგზაური**"-ს სამი **წლის** 1901 წ. 1903 და 1904 წ.წ. ნომრები, ივ. როსტომაშვილის რედაქციით გამოსული. სამივე წლის **ერთ მანეთად.** (5—4)

Желая составить группу

## ИЩУ

товарищей, готовящихся на аттестатъ зрѣлости. Имѣю знаніе 6 клас. гимназіи. Адресь: въ редакцію „Момавали", спросить Вано. (3—3)

მიიღება ხელის მოწერა სამეცნიერო-პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

## „განათლება"-ზე

(წელიწადი მესამე)

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში, გარდა ზაფხულის ორი თვისა, ორიდან სამ ბეჭდურ თაბახამდის. ხელის მომწერთათვის წლიურათ ჟურნალი ეღირება 3 მ., ნახევარი წლით 2 მ. გაგზავნით, სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი წლიურათ **ორ მანეთათ** დაეთმობათ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის" რედაქციაში.

ქალაქს გარეთიდან წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія, Л. Г. Боцвадзе

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

1910 წლის 1 იანვრიდან მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

## „ფონ-ზე"

| | |
|---|---|
| წლიურათ გაზეთი ეღირება | 3 მან. 50 კ. |
| ნახევარი წლით — — — | 2 მან. — |
| სამი თვით — — — — | 1 მან. 20 კ. |

ვინც 20 დეკემბრამდე მომავალი წლისთვის გამოიწერს გაზეთს, ყველა დეკემბრის №№ უფასოთ დაეთმობა.

**ადრესი: Кутаисъ, редакція „ПОНИ", Балахванская ул. домъ № 37**

ხელის მოწერა შეიძლება აგრეთვე ისიდორე კვიცარიძესთან. (5—1)

## ავტომობილები

ვისაც სურს შვეიცარიის საუკეთესო ავტომობილის ფაბრიკებიდან შეიძინოს ავტომობილი, ლანდო, კარეტა, კალიასკა, ღია თუ დახურული, ოჯახისთვის თუ საბირჟოთ.

ეტლი 5 ან 12 ადგილიანი და სხვა და სხვა

მოგვმართოს შემდეგი ადრესით: „Herrn Bendianidse, Automobilfabrik «AJax» A. G. Hirschengraben, 80 «Zurich».

რადგან ამ ცნობილ ფაბრიკაში ვმუშაობ, შემიძლია მსურველს ფაბრიკის ნაკლებ ფასში ვაყიდვინო.

დამატებითი ცნობები «მომავალის» რედაქციაში. **ბენდიანიძე.** (0—25)